29 ნოემბერს ჩატარდება მათემატიკის ოლიმპიადის I უფასო ტური

აუცილებლად გელოდებით!

მათემატიკის ოლიმპიადა

მე-4 კლასი (I ტური, შემოდგომა, 2025)

ძირითადი დავალებები (თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია):

1) ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

A) 18+7=24 B) 17+8=25 C) არცერთი

2) ჩამოთვლილთაგან რომელია <u>არასწორი?</u>

A) 6+(21-7)=20 B) 48-(30+5)=83 C) ორივე

3) რას მივიღებთ, თუ უმცირეს ორნიშნა რიცხვს დავუმატებთ უდიდეს ერთნიშნა რიცხვს?

A) 109 B) 19 C) ამის გაგება შეუძლებელია


4) რას მივიღებთ, თუ უდიდეს ორნიშნა რიცხვს გამოვაკლებთ უმცირეს ორნიშნა რიცხვს?

A) 89 B) 90 C) ამის გაგება შეუძლებელია

5) დააკვირდი რიცხვების მიმდევრობას და გამოიცანი მომდევნო წევრი: 10; 15; 20; 25...

A) 20 B) 25 C) 30

6) სურათზე გამოსახული ფიგურებიდან რომელია სამკუთხედი?



A) A B) C C) არცერთი

ალტას სახელობის შეკითხვა

7) მირანდა 3 წლით უფროსია ანიზე, ანი 3 წლით უფროსია ეკაზე. რამდენი წლითაა უფროსი მირანდა ეკაზე?

A) 6 B) 3 C) ტოლები არიან

8) პირველ თასში 8-ით მეტი მსხალია, ვიდრე მე-2-ში. რამდენი მსხალი უნდა გადავდოთ პირველიდან მე-2-ში, რომ თასებში მსხლების რაოდენობა გათანაბრდეს?

A) 4 B) 8 C) ამის გაგება შეუძლებელია

9) რა შემთხვევაში მივიღებთ უფრო მაღალ რიცხვს, 50-ს თუ დავუმატებთ 21-ს, თუ 100-ს გამოვაკლებთ 30-ს?

A) 50+21 B) 100-30 C) 2-ვე შემთხვევაში იმავე რიცხვს მივიღებთ

10) მორის ერთხელ გახერხვა ჯდება 4 ლარი. რა ჯდება მორის 3 ნაწილად გახერხვა? (იგულისხმება, რომ ერთხელ გახერხვით შესაძლებელია მხოლოდ 1 ნაწილის მოჭრა)

A) 12 ლარი B) 8 ლარი C) ამის გაგება შეუძლებელია

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 3 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

<u>ბონუს ბლოკი Tether -ისგან</u>

USD₮ ციფრული ფულია. 1USD₮ ყოველთვის 1$-ია.
1. ნიკას სურს შეიძინოს 5 ცალი ელექტრონული წიგნი. თითოეული ღირს 10 USD₮. რა თანხა სჭირდება ნიკას სულ?
A) 15 USD₮ B) 50 USD₮ C) 55 USD₮
2. მარიამს აქვს 100 USD₮. მას სურს ეს თანხა თანაბრად გადაუნაწილოს 4 მეგობარს დაბადების დღეზე. რამდენი შეხვდება თითოეულს?
A) 20 USD₮ B) 25 USD₮ C) 40 USD₮

3. თუ ბანკში ფულის გადარიცხვას 2 დღე სჭირდება. USD₮-ის გადარიცხვას - 2 წუთი. რომელი უფრო სწრაფია?
A) ბანკი უფრო სწრაფია
B) USD₮ უფრო სწრაფია 1 დღით
C) USD₮ ბევრად სწრაფია (წუთები დღეების წინააღმდეგ)

4.

5. „ლოკო მოკოს“ ახალი ხაჭოს დესერტების ასორტიმენტში <u>3 განსხვავებული</u> არომატია: მარწყვი, ბანანი და ორცხობილა. თითოეული არომატი ყუთში თითო ცალია. რა არის იმის შანსი, რომ ყუთიდან შეუხედავად ამოღებისას, თქვენი ამოღებული იოგურტი ორცხობილის იქნება?

A. ერთი ოთხიდან B. ერთი სამიდან C. ერთი ორიდან